



**გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა**  
საქართველოს სახელით  
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

საქმე №2ბ/876-11

20 მაისი 2011 წელი  
ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**მოსამართლე – გოდერძი გიორგიშვილი**

**საქმის განხილვის ფორმა –** ზეპირი განხილვის გარეშე  
**აპელანტი –** მაია ისმაილოვი (მოსარჩელე)

**წარმომადგენელი –** თამარ მეტრეველი

**მოწინააღმდეგე მხარეები –** ნოტარიუსი თამარ ფიცხელაური, გულიზარი მგოიანი,  
ვაზირა ისმაილოვი, ანჟელა ისმაილოვი (მოპასუხეები)

**დავის საგანი –** სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ  
დადგენილების ბათილად ცნობა, სამკვიდრო მოწმობის გაცემის დავალებულება

**გასაჩივრებული გადაწყვეტილება –** თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის  
27 იანვრის გადაწყვეტილება

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმობაშია სამოქალაქო საქმე №2ბ/876-11 აპელანტი – მაია ისმაილოვი, მოწინააღმდეგე მხარეები – ნოტარიუსი თამარ ფიცხელაური, გულიზარი მგოიანი, ვაზირა ისმაილოვი, ანჟელა ისმაილოვი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო

უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

მაია ისმაილოვის წარმომადგენლის თამარ მეტრეველის მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარში და საქმის მასალებში მოწინააღმდეგე მხარის – ანჟელა ისმაილოვის საცხოვრებელ მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, გლდანი, 3 მკ.რ, 69 კორპუსი, ბინა 6.

აღნიშნულ მისამართებზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი სასამართლო უწყება და გზავნილი არ ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარე – ანჟელა ისმაილოვს. სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათებზე ჩაუბარებლობის მიზეზად აღნიშნულია, რომ აღნიშნულ მისამართზე დატოვებულ იქნა შეტყობინება, მაგრამ არავინ არ გამოეხმაურა.

სააპელაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, იმსჯელა საქმის სრულყოფილად, კანონმდებლობით დადგენილ უმოკლეს ვადაში განხილვისა და გაჭიანურების თავიდან აცილების გარემოებებზე, გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დანაწესი და მიიჩნია, რომ მართლზომიერია განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებულ ანჟელა ისმაილოვს შეტყობინება სასამართლოს სხდომის გამართვის თარიღის (2011 წლის 8 ივნისი 14:00 საათზე) შესახებ ჩაბარდეს საჯარო შეტყობინების საშუალებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე, 285-ე და 390-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სასამართლოს სხდომაზე მოწვევა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების ფორმით;
2. სასამართლოს მთავარი სხდომა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დაინიშნულია 2011 წლის 8 ივნისს 14:00 საათზე, რომელიც გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7<sup>ა</sup>);

3. 2011 წლის 8 ივნისს 14:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეულ იქნეს განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებული ანჟელა ისმაილოვი;

4. სხდომაზე დასაბარებელი პირი გაფრთხილებულ იქნეს, რომ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მის წინააღმდეგ;

5. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე

გ. გიორგიშვილი